საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №159

20196. "05" 07

ქ.თბილისი

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" (აკრედიტაცია მიენიჭა 2017 წლის 18 ივლისს №49 გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ელექტრონიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 ივლისის №41 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
სალომე თოთიბაძე